

ტესტის სახელწოდება

ტრანსფერინის ანალიზი

რას იკვლევს მოცემული ტესტი?

მოცემული ანალიზი სისხლში ტრანსფერინის დონეს განსაზღვრავს.

ტრანსფერინი ცილაა, რომელიც სისხლში რკინას უკავშირდება და ორგანიზმში მის ტრანსპორტირებას ახორციელებს. იგი ღვიძლის მიერ წარმოიქმნება და ამიტომ სისხლში მისი რაოდენობა დამოკიდებულია როგორც ადამიანის ნუტრიციულ სტატუსზე, ასევე ღვიძლის ფუნქციურ აქტივობაზე.

ორგანიზმში არსებული ტრანსფერინის მხოლოდ გარკვეული ნაწილია რკინით გაჯერებული, დანარჩენი რეზერვს წარმოადგენს. შესაბამისად, სისხლში ტრანსფერინის დონის განსაზღვრის გარდა, ხშირად საჭიროა ტრანსფერინის სარეზერვო მოცულობის, ტრანსფერინის სატურაციის და შრატის რკინის განსაზღვრა.

ტრანსფერინის სატურაციის განსაზღვრა, რკინის სტატუსის შეფასებისთვის უფრო სასარგებლო ინდიკატორია, ვიდრე მხოლოდ რკინის ან ტრანსფერინის განსაზღვრა.

რკინის დეფიციტისას, რკინის დონე დაქვეითებულია, ტრანსფერინის კი მომატებული, ამიტომ ტრანსფერინის სატურაცია დაბალი იქნება. რკინის სიჭარბისას კი, შრატში რკინის რაოდენობა მომატებულია, ტრანსფერინი ნორმაშია ან დაქვეითებულია, რის შედეგადაც ტრანსფერინის სატურაცია იმატებს.

რისი დიაგნოსტიკისთვის ინიშნება?

ტრანსფერინის ანალიზი შეიძლება დაინიშნოს, როდესაც:

- ეჭვი აქვთ რკინის ნაკლებობაზე ან სიჭარბეზე;
- ეჭვი აქვთ რკინით მოწამვლაზე;
- ღვიძლის ფუნქციის შესაფასებლად;
- შეიძლება დაინიშნოს სხვა ტესტებთან ერთად, პაციენტის ნუტრიციული სტატუსის შესაფასებლად;

ტრანსფერინის ანალიზი ხშირად ინიშნება რკინის და ფერიტინის ანალიზებთან ერთად.

როგორ კეთდება ეს ტესტი?

ანალიზისთვის საჭიროა ვენიდან სისხლის აღება.

როგორ მოვემზადოთ ტესტისთვის?

აუცილებელია ექიმთან კონსულტაცია და ანალიზისთვის მოსამზადებლად მისგან ინსტრუქციების მიღება.

ტრანსფერინის ტესტისთვის სისხლის აღება უზმოზე უნდა მოხდეს. პაციენტმა ანალიზამდე 12 სთ-ის განმავლობაში არ უნდა მიიღოს საკვები.

შედეგების ინტერპრეტაცია

შედეგების ინტერპრეტაცია ექიმის მიერ უნდა მოხდეს. ტრანსფერინის ანალიზის შედეგებზე მსჯელობისას, გათვალისწინებული უნდა იქნას ასევე სხვა ანალიზების (მაგ. რკინის) შედეგებიც.

ტრანსფერინის მომატება, ჩვეულებრივ, რკინის დეფიციტს უკავშირდება, თუმცა მისი დონე ორსულობის დროსაც შეიძლება იყოს მომატებული.

ტრანსფერინის დაბალი დონე სხვადასხვა მიზეზით შეიძლება იყოს გამოწვეული, მათ შორის, ღვიძლის დაავადების, მალნუტრიციის, ჰემოქრომატოზის გამო.

ტრანსფერინის სატურაცია რკინის დეფიციტისას ქვეითდება, რკინის სიჭარბისას ან რკინით მოწამვლისას კი მატულობს.